

მცხეთის მიწათსარგებლობის გენგეგმისთვის ტენდერი გამოცხადდა

✘ მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისთვის 1,8 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი გამოცხადდა. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებრღბეა გამოქვეყნებული.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ამ მომსახურების შემსყიდველი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. სატენდერო დოკუმენტაციაში წერია ისიც, რომ გენგეგმის მომზადების თაობაზე ტენდერი მეორედ ცხადდება, რადგან პირველი დოკუმენტი მცხეთის საკრებულომ დაიწუნა. 2015-2016 წლებში ქადაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით მომზადდა მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, დოკუმენტი წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, თუმცა, არაღამაკმაყოფილებელი შეფასების გამო, არ დამტკიცდა.

2015-2016 წლებში დამუშავებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა მოიცავდა მხოლოდ თვითმმართველი ქადაქი მცხეთის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიას, რომელშიც სრულად არ შედიოდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისათვის აუცილებელი ისტორიული დანდშაფტი, მათ შორის ჯვრის მონასტერი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, რაც 2017 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე დამტკიცდა როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონა, – ნათქვამია სატენდერო დოკუმენტაციაში.

პირველი ტენდერის ღირებულება 160 000 ლარი იყო.